საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 46

25 01 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - პირველი კომპონენტის (ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში) ფარგლებში ზოგადი განათლების ექსპერტის (კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია, მეცნიერება და ტექნოლოგიები - ფიზიკა, მეცნიერება და ტექნოლოგიები - ბიოლოგია, მათემატიკური წიგნიერება, მოქალაქეობა, მეწარმეობა) თანამდებობაზე, ასევე, მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში დარგობრივი ექსპერტის (კულინარიის, კონდიტერიის, ხის სამუშაოების, ელექტროობის, მევენახეობის, რძის პროდუქტების მიღების, მებოსტნეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურების მიმართულებებით), პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის, ფსიქოლოგის, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის, მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შეთანხმების კოორდინატორის, თამარ სამხარაძის, 2017 წლის 13 იანვრის №24279 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 25 იანვრიდან 2017 წლის 30 იანვრამდე გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების

წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ – ფარგლებში, შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. პირველი კომპონენტის - (ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში) - ფარგლებში ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებებით:

ა) ზოგადი განათლების ექსპერტი (კომუნიკაცია ქართულ ენაზე), ადგილების რაოდენობა 2;

ბ) ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ქიმია), ადგილების რაოდენობა 1;

გ) ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ფიზიკა), ადგილების რაოდენობა 1;

დ) ზოგადი განათლების ექსპერტი (მეცნიერება და ტექნოლოგიები - ბიოლოგია), ადგილების რაოდენობა 1;

ე) ზოგადი განათლების ექსპერტი (მათემატიკური წიგნიერება), ადგილების რაოდენობა 1;

ვ) ზოგადი განათლების ექსპერტი (მოქალაქეობა), ადგილების რაოდენობა 2;

ზ) ზოგადი განათლების ექსპერტი (მეწარმეობა), ადგილების რაოდენობა 1.

1.1.1. ზოგადი განათლების ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) ეროვნულ სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება;

გ) ინტეგრირებულ მოდულებზე მუშაობის გამოცდილება;

დ) საგნობრივ გზამკვლევებზე მუშაობის გამოცდილება.

1.1.2. ზოგადი განათლების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) შესაბამისი მიმართულების მასწავლებლის გზამკვლევის საპილოტე ვერსიის შემუშავება;

ბ) მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა.

1.1.3. კონკურსის შედეგად, ზოგადი განათლების ექსპერტის (კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მათემატიკური წიგნიერება) თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ზოგადი განათლების ექსპერტის (კომუნიკაცია ქართულ ენაზე, მათემატიკური წიგნიერება) მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 4 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1875 ლარის ოდენობით, ხოლო, ზოგადი განათლების ექსპერტის (მეცნიერება და ტექნოლოგიები, მოქალაქეობა, მეწარმეობა) თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 25 ივლისის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ზოგადი განათლების ექსპერტის (მეცნიერება და ტექნოლოგიები, მოქალაქეობა, მეწარმეობა) მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1875 ლარის ოდენობით.

2. მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლი მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში შემდეგ თანამდებობებზე:

2.1. მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების გამოცდილება;

გ) ინფორმაციის სტატისტიკურ დამუშავებაში გამოცდილება;

დ) კვლევების ჩატარების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ე) კვლევითი ანგარიშების მომზადების გამოცდილება;

ვ) კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

2.1.1. მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსთან დაკავშირებული მოლოდინებისა და განწყობების პროგრამამდელი მონაცემების ანალიზი და ანგარიშის მომზადება მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტების ჩართულობით;

ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის მიმდინარეობაზე დაკვირვება, პროცესის შესახებ კვლევითი მონაცემების ანალიზი და ანგარიშის მომზადება მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტების ჩართულობით;

გ) სამუშაო საორინეტაციო და მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, პროგრამამდელი მონაცემების შედარების ანალიზი;

დ) ფოკუს ჯგუფების და/ან ინტერვიუების ჩატარების შედეგად შეგროვილი ინფორმაციის ანალიზი;

ე) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის პილოტირების შემაჯამებელი კონფერენციისათვის პრეზენტაციის მომზადება და კონფერენციაზე წარდგენა;

ვ) ანგარიშის მომზადება მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

2.1.2. მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

2.1.3. კონკურსის შედეგად, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1875 ლარის ოდენობით.

2.2. მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების გამოცდილება;

გ) ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების გამოცდილება;

დ) კვლევითი ანგარიშების მომზადების გამოცდილება.

2.2.1. მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კურსთან დაკავშირებული მოლოდინებისა და განწყობების შესწავლა და პროგრამამდელი მონაცემების შეგროვება.

ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელ კურსზე დაკვირვება და პროცესის მიმდინარეობის შესახებ კვლევითი მონაცემების შეგროვება, დაკვირების შედეგად გამოკვეთილი დასაზუსტებელი საკითხების შესახებ მასწავლებლებისა და სხვა ჩართული პირების ინტერვიუირება;

გ) საორინეტაციო და მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, პროგრამამდელი მონაცემების შედარება პროგრამის შემდგომ მონაცემებთან;

დ) ფოკუს ჯგუფების და/ან ინტერვიუების ჩატარება საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ჩართულ მხარეებთან (მშობლები, მოსწავლეები, პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაცია, პედაგოგები);

ე) შეგროვებული მასალის ანალიზსა და ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა.

2.2.2. მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 2 ადგილზე.

2.2.3. კონკურსის შედეგად, მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში მონიტორინგისა და

შეფასების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1250 ლარის ოდენობით.

2.3. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

გ) სასწავლო მოდულების/ პროგრამების სპეციფიკის ცოდნა;

დ) მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნის გამოცდილება;

ე) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

2.3.1. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) შერჩეული კომპეტენციებისათვის მოდულებისა და მეთოდოლოგიის შექმნაში მონაწილეობა:

ა.ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის 4 მოდულის (კულინარიის, კონდიტერიის, ხის სამუშაოების და ელექტროობის) ან (მევენახეობის, რძის პროდუქტების მიღების, მებოსტნეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურების) სწავლის შედეგებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტების ინტეგრირება და მასწავლებლის გზამკვლევში შესაბამისი აქტივობების ასახვა.

ბ) აქტივობების გაწერის განხორციელება დარგობრივ ექსპერტებთან და ფსიქოლოგთან თანამშრომლობით.

2.3.2. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 2 ადგილზე.

2.3.3. კონკურსის შედეგად, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 2 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1300 ლარის ოდენობით.

2.4. დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე შემდეგი მიმართულებებით:

ა) კულინარია;

ბ) კონდიტერია;

გ) ხის სამუშაოები;

დ) ელექტროობა;

ე) მევენახეობა;

ვ) რძის პროდუქტების მიღება;

ზ) მებოსტნეობა;

თ) სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურება.

2.4.1. დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე (1.4. პუნქტში მითითებული ყველა მიმართულების) მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დარგის შესაბამისი კომპეტენციების არსებობა;

ბ) პროფესიული პროგრამების / მოდულების შექმნის გამოცდილება;

გ) მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებზე მუშაობის გამოცდილება;

დ) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

2.4.2. დარგობრივი ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) მოდულების შექმნა შერჩეული კომპეტენციებისათვის:

ა.ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსების ორგანიზებისათვის ადაპტირებული მოდულების შექმნა.

ბ) მასწავლებელთა გზამკვლევების შექმნა და ინტეგრირება მოდულში:

ბ.ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის ორგანიზებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების მომზადება თითოეულ სასწავლო შედეგთან მიმართებაში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

ბ.ბ) აქტივობების გაწერა ხორციელდება ფსიქოლოგებთან და კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტთან თანამშრომლობით.

2.4.3. დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 8 ადგილზე შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

2.4.4. კონკურსის შედეგად დარგობრივი ექსპერტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 650 ლარის ოდენობით თითო მოდულთან მიმართებაში.

2.5. ფსიქოლოგის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის დარგში.

ბ) ბავშვთა და მოზარდთა განვითარების თავისებურებების ცოდნა;

გ) მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნის გამოცდილება;

დ) მოდულური პროგრამების სპეციფიკის ცოდნა;

ე) პროფესიული განათლების სიტემის ცოდნა;

ვ) ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები.

2.5.1. ფსიქოლოგის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) შერჩეული კომპეტენციებისათვის მოდულებისა და მეთოდოლოგიის შექმნაში მონაწილეობა:

ა.ა) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის 4 მოდულის (კულინარიის, კონდიტერიის, ხის სამუშაოების და ელექტროობის მიმართულებით) ან (მევენახეობის, რძის პროდუქტების მიღების, მებოსტნეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკური მომსახურების) სწავლის შედეგებში პროფესიული ორიენტაციის კომპონენტების ინტეგრირება და მასწავლებლის გზამკვლევში შესაბამისი აქტივობების ასახვა;

ბ) აქტივობების გაწერა განხორციელდება დარგობრივ ექსპერტებთან და პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

2.5.2. ფსიქოლოგის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 2 ადგილზე .

2.5.3. კონკურსის შედეგად, ფსიქოლოგის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 17 აპრილის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში ფსიქოლოგის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 2 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 1300 ლარის ოდენობით.

2.6. ზოგადი განათლების ექსპერტის, მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელის, მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის, დარგობრივი ექსპერტისა და ფსიქოლოგის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2.7. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

4. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ გრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ გრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე